

კომპიუტერი დანართების აგება ბიზნეს-არქიტექტურის შესრულების ენის (BPEL) პაზაზე

ეკატერინე თურქია, ზვიად არხოშაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში წარმოდგენილია ბიზნეს-პროცესების მოდელირების, ინტეგრაციისა და რეალიზაციის თანამედროვე სტანდარტები და ინსტრუმენტები საშუალებები. განხილულია, როგორ ავტომატიზებული სისტემის რეალიზაციის პრინციპები და პრობლემები კომპოზიციური დანართების აგების, ბიზნეს-პროცესების მოდელირებისა და შესრულების ენების გამოყენებით. პრაქტიკული მაგალითის სახით შემთავაზებულია პროდუქციის ელექტრონულად შესყიდვის პროცესი სერვის-ორიენტირებული არქიტექტურის, BPEL ენისა და Oracle Jdeveloper SOA-suite, Oracle Fusion Middleware 11g ინსტრუმენტის ბაზაზე.

საკანონო სიტყვები: კომპოზიციური დანართები. ბიზნეს-პროცესები. მოდელირება. შესრულების ენები. სერვის-ორიენტირებული არქიტექტურა. ვებ-სერვისების ორკესტრირება.

1. შესავალი

კორპორაციული სისტემების მართვის (ERP, CRM) სრულყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტად ითვლება სერვის-ორიენტირებულ სტანდარტის გამოყენება (SOA), რაც გამოყენებითი სისტემების ინტეგრაციის მოქნილ საშუალებად ითვლება. გამოყენებითი სისტემების ინტეგრაციის ერთ-ერთი თანამედროვე ხერხია კომპოზიციური დანართების აგების ტექნოლოგია, რაც ვებ-სერვისებად გადაკანვერტირებული როგორი თუ მარტივი ბიზნეს-ოპერაციების ინტეგრაციის საშუალებას იძლევა. ასეთი კომპოზიციური მოდელის შექმნის ბირთვს წარმოადგენს, დღესდღეობით საკმაოდ პოპულარული ბიზნეს-პროცესების მოდელირებისა და შესრულების ენები (BPMN - Business Process Model Notation, BPEL - Business Process Execution Language), რომლის პრაქტიკულმა გამოყენებამ გამოვლინა ბირთვული მიმართულებები ამ ტექნოლოგიების სრულყოფისთვის.

ზოგადად, ბიზნეს-პროცესების გამოყენების კონცეფცია ორიენტირებულია როგორი ავტომატიზებული სისტემის სრული სასიცოცხლო ციკლის მოდელირებისთვის, რაც დეტალურად აღწერს და ახდენს ავტომატიზებული სისტემის მიერ (system-to-system flow) და მომხმარებლის მიერ (Workflow/human-to-human flow) შესასრულებელი ცალკეული ოპერაციების კოორდინაციას [1].

ამ თვალსაზრისით, IT სპეციალისტების ყურადღება მიპყრობილია ბიზნეს-პროცესების მოდელირებისა და შესრულების ენების ინსტრუმენტებით საშუალებების ხარისხის ამაღლებისკენ (როგორც მოდელირების ცალკეული კომპონენტებისთვის, ისე პროცესებისთვის), რათა მოქნილად მოხერხდეს იმ მთავარი ბირთვისა და აზრის უზრუნველყოფა, რაც ბიზნეს-პროცესების ინჟინერიის მთლიან პრინციპებს მოიცავს [2,3].


ეს პრინციპები ეხება ერთის მხრივ ავტომატიზებული სისტემის აგების სრული სასიცოცხლო ციკლის მართვას და მეორეს მხრივ ბიზნეს-პროცესების არქიტექტორების, ანალიტიკოსების და პროგრამისტების ერთობლივად მუშაობის ხელშეწყობას. ამ თვალსაზრისით ეს ტექნოლოგიები უზრუნველყოფენ ბიზნეს-პროცესებისა და ორგანიზაციების დიაგრამების აგებას (Business Process Architect-BPA), ტრასფორმაციას BPMN დაგრამაში და შემდგომ კომპილირებას BPEL სტანდარტში.

2. მირითადი ნაწილი

BPMN განიხილება როგორც ე.წ. დეკლარაციული ენა, ხოლო BPEL აღწერს რამდენიმე სერვისების ერთობლივად გამოყენებას, BPMN-ში მითითებული ინსტრუქციებისა და კომპაქტური ბიზნეს-ფუნქციების შესრულების თანამიმდევრობის მიხედვით.

მაგალითის სახით, განვიხილოთ ელექტრონულ მაღაზიაში პროდუქციის შესყიდვის პროცესი ბიზნეს-პროცესების შესრულების ენის გამოყენებით (ნახ.1). ამ პროცესში მონაწილე

რესურსებია: მომხმარებელი, საბანკო სექტორი და ელექტრული მაღაზია. ბიზნეს-პროცესების მოდელირების ნოტაციის მიხედვით, მხარეები აისახება pool კომპონენტის სახით. თითოეულ pool-ში აღიწერება შესაბამისი რესურსის ბიზნეს-პროცესი, რომლის გამოძახებაც ხდება კონკრეტული ვებ-სერვისის მიერ ორკესტრირებული BPEL პროცესის (პროდუქციის შესყიდვის) მიხედვით. კერძოდ, მომხმარებლის ფუნქციაა საკრედიტო ბარათის მონაცემებისა და პროდუქციის შესასყიდი თანხის მითითება, რაც შეტყობინების სახით გადაეცემა "CheckAccount" და "CheckAmount" ვებ-სერვისებს. აღნიშნული ვებ-სერვისები იღებენ შეტყობინებას ანგარიშის შემოწმების "CheckAccount" ბიზნეს-პროცესიდან და გადასცემზე შესრულებული პროცესის ინფორმაციას მომხმარებელს "SaleOfProduct" ბიზნეს-პროცესის გავლით.



ნაზ.1. ბიზნეს-პროცესის მოდელის ფრაგმენტი


ფაქტობრივად, SOA განიხილება პროცეს-ორიენტირებული კონცეფციის ჭრილში, სადაც გამოყენებაშია ობიექტ-ორიენტირებული მიდგომა პროცესებზე და არა ობიექტებზე. შესაბამისად, პროცესი ინკაფსულირებულია ვებ-სერვისის სახით, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია სხვადასხვა პროექტის შესრულებისას. მაგალითად, ზემოთ აღწერილი ვებ-სერვისები ("CheckAmount", "CheckAccount") შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ნებისმიერი ელექტრონული შესყიდვების პროცესის ავტომატიზაციისას.

ძირითადად, ბიზნეს-პროცესების შესრულების ენა ემსახურება ვებ-სერვისების აწყობასა და მართვას, რაც ორკესტრირების ფუნქციით ხორციელდება, მათ შორის პოპულარულია უკვე არსებული, დისტანციური ვებ-სერვისების ანუ განაწილებული ტრანზაქციების (partnerlink)

გამოყენებაც. ორკესტრირების ფუნქცია მართავს ვებ-სერვისების გამოძახების (invoke), ოპერაციების შესრულებისა (activity, receive, wait) და ოპერაციების შესრულების შედეგის გადაცემის (reply, pick) პროცესის კონრლინაციას.


მიუხედავად იმისა, რომ ამ სტანდარტებზე დაყრდნობა და პრაქტიკული გამოყენება პროგრამისტებისა და ზოგადად IT სპეციალისტების აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, microsoft და java ტექნოლოგიებში BPNP-BPEL ხაზის განვითარება მაინც მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ამის დასტურია MS visual-studio workflow და Oracle Jdeveloper სერვის ორიენტირებული არქიტექტურის პროექტები. Oracle Jdeveloper გვთავაზობს SOA-suite სტანდარტს WebLogic სერვერისა და java ტექნოლოგიის ბაზაზე, რაც ბიზნეს-პროცესების აგებისა და შესრულების ენების გამოყენებით განაწილებული ვებ-დანრათების აგების მოქნილ ინსტრუმენტს ქმნის [4].

მე-2 ნახაზზე ნაჩვენებია ელექტრონული შესყიდვის პროცესისთვის ვებ-სერვისების შექმნა Oracle Jdeveloper ინსტრუმენტში.



ნახ.2. ვებ-სერვისების შექმნის ნიმუში Oracle Jdeveloper ინსტრუმენტში

მე-3 ნახაზზე შემოთავაზებულია ვებ-სერვისების კომპოზიციის BPEL დიაგრამის ფრაგმენტი, ხოლო ვებ-სერვისებისა და BPEL მოდელის ტესტირების შედეგი WebLogic სერვერზე (localhost/em- SOA-INFRA) წარმოდგენილია მე-4 ნახაზზე.



ნახ.3. ვებ-სერვისების კომპოზიციის BPEL დიაგრამის ფრაგმენტი

ვებ-სერვისების შექმნის, კომპოზიციისა და ტესტირების წარმოდგენილი მაგალითით ნაჩვენებია კომპოზიციური დანართების აგების ერთ-ერთი სერვისი. იგი, რეალიზებულია Oracle Fusion Middleware 11g პროდუქტზე, რაც მოქნილი, ინტელექტუალური ბიზნეს-პროცესების დანართების ინფრასტრუქტურის შექმნის ფუნდამენტია, თანამედროვე პროგრამულ-აპარატული არქიტექტურის ბაზაზე.

The top screenshot shows the Oracle JDeveloper interface for testing a service. The left pane displays the project structure for 'Application_CARD' with 'Project1' selected. The right pane shows the 'Request/Response' editor for a WSDL URL. The request section is configured with the following headers:

Header	Value
Content-Type	text/xml; charset=UTF-8
SOAPAction	=
Host	localhost:7101
ContentLength	208
X-HTTP-Analyzer-Rules	1@localhost:9099

The parameters section contains a single entry: `arg0 : string` with value `44444444`. The response section shows a parameter named `return` with the value `correctly`.

The bottom screenshot shows the Oracle Enterprise Manager 11g Fusion Middleware Control interface. The left sidebar shows the farm structure with 'Farm_base_domain' and 'SOA' sections. The main panel is titled 'Project1 [1.0]' and shows the 'Web Service testen' (Test Web Service) dialog. The dialog displays the WSDL URL: `http://fmw4-kst:7001/soa-infra/services/default/Project1/bpelprocess1_client_ep?WSDL`, the service name: `bpelprocess1_client_ep`, the port: `BPELProcess1_pt`, and the operation: `process`. The endpoint URL is listed as `https://fmw4-kst:7001/soa-infra/services/default/Project1/bpelprocess1_client_ep`. Below the dialog, there are tabs for 'Anforderung' (Request) and 'Antwort' (Response), and sections for 'Sicherheit' (Security), 'QoS', 'HTTP-Transportoptionen' (HTTP Transport Options), and 'Eingabeargumente' (Input Arguments). A table for input arguments shows one entry: `payload` of type `payload` with value `string`.

ნახ.4. ვებ-სერვისებისა და BPEL დიაგრამის ტესტირების ურაგმენტი (Oracle Jdeveloper SOA- infra)

3. დასკვნა

კომპოზიციური დანართების გამოყენება კორპორაციული ინფრასტრუქტურის ავტომატიზაციისთვის ფლობს მაღალ პოტენციალს, თუმცა არსებობს ამ ტექნოლოგიის გარკვეული სახლვრები და ნაკლოვანებები (მაგ., ჯერ კიდევ შეუძლებელია გარკვეული ბიზნეს-პროცესების სრული ავტომატიზაცია), რის სრულყოფასაც დიდი ყურადღება ექცევა საინფორმაციო ტექნოლოგიების სამეცნიერო და პრაქტიკული კვლევების მიმართულებებში.

ლიტერატურა:

1. Mathas C. Composite Applications, Entwickler Press, 2010
2. Mendling J., Recker J. Towards Systematic Usage of Labels and Icons in Business Process Models, Queensland University of Technology, Australia
3. Matjaz B. J., Krizevnik M. WS-BPEL 2.0 for SOA Composite Applications with Oracle SOA Suite 11g, PACKT Publishing, 2010
4. Oracle® SOA Suite Developer's Guide. <http://www.oracle.com>

CONSTRUCTION OF COMPOSITE APPLICATIONS BASED ON BUSINESS PROCESS EXECUTION LANGUAGE (BPEL)

Turkia Ekaterine, Arkhoshashvili Zviad
Georgian Technical University

Summary

In the article the modern standards and tools for modeling, integration and implementation of business-processes are suggested. There are discussed the principles and problems of automation of complex information systems by the using of composite applications technologies, business-process modeling and execute languages. As a practical example the process of electronic procurement of products is proposed, based on service-oriented architecture, BPEL language and Oracle Jdeveloper SOA-suite, Oracle Fusion Middleware 11g tools.

ПОСТРОЕНИЕ КОМПОЗИЦИОННЫХ ПРИЛОЖЕНИЙ НА БАЗЕ ЯЗЫКА ИСПОЛНЕНИЯ БИЗНЕС-ПРОЦЕССОВ (BPEL)

Туркия Е., Архошашвили З.
Грузинский Технический Университет

Резюме

В статье предложены современные стандарты и инструментальные средства моделирования, интеграции и реализации бизнес-процессов. Рассмотрены принципы и проблемы автоматизации сложных информационных систем с применением технологии построения композиционных приложений, языков моделирования и реализации бизнес-процессов. Предложен практический пример процесса электронной закупки продукта на базе сервис-ориентированной архитектуры, языка BPEL и инструмента Oracle Jdeveloper SOA-suite, Oracle Fusion Middleware 11g.